ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060606

ქვეპროგრამის დასახელება:

2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	570,000
სულ ბიუჯეტი:	570,000

ქვეპროგრამის მიზანი:

2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული 24 მეომრისა და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 11 მეომართა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა. ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული//მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 5 000 ლარის ოდენობით, სულ 44 ბენეფიციარს.
- აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 35 მეომრის ოჯახს - თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპლიტეტებიდან წარმოდგენილი უნდა იქნას ქვეპროგრამის ბენეფიციართა/ოჯახის წევრთაგან მატერიალური დახმარების მიმღებ პირთა სია და საბანკო რეკვიზიტები. შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ოჯახის დახმარების თანხის წილობრივი გაცემა მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე ან შვილის კანონიერ წარმომადგენელზე. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

1. 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებებისა და ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას გარდაცვლილი მეომრების ოჯახის წევრები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით ან იმ მეომართა ოჯახის წევრები, რომლებიც დაღუპვის პერიოდისათვის რეგისტრირებული იყვნენ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე.
2. 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებებისა და ავღანეთში სამშვიდობო მისიის დროს მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომრები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით.

ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია

წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დაღუპულთა და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით	44	5,000	220,000
დაღუპულთა და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით	35	10,000	350,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			570,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციართა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X		X	
თანხის გაცემა	X		X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური და მორალური დახმარება.	დაღუპული და შშმ მეომრების დედებისა და მეუღლეების დახმარება	44	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
	დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება	35	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა